## საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

## ბრძანება N 2-1275

27/12/2019 ქ. თბილისი

**“კასპის მუნიციპალიტეტში, შპს „ფაზისი ენერჯი და იენიგუნის“ მდ. მტკვარზე 35,64 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (მეტეხი ჰესი) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ”**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის I დანართის 22-ე პუნქტის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს, “კასპის მუნიციპალიტეტში, შპს „ფაზისი ენერჯი და იენიგუნის“ მდ. მტკვარზე 35,64 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (მეტეხი ჰესი) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა N133 (18.12.2019 წ.);
2. შპს „ფაზისი ენერჯი და იენიგუნიმ“ სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N133 (18.12.2019 წ.) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ფაზისი ენერჯი და იენიგუნს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ფაზისი ენერჯი და იენიგუნის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და კასპის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საინფორმაციო დაფებზე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი